სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/201

ქ. თბილისი 22 ივლისი 2019

სტუ-ის ფაკულტეტებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის, სტუ-ის აკადემიური პერსონალის აფილირების წესისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

I. აკადემიური საბჭოს მიერ 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე 2019 წლის 25 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი 2019-2020 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად:
   1. სამშენებლო ფაკულტეტი;
   2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი;
   3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი;
   4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი;
   5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი;
   6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი;
   7. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;
   8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი;
   9. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
   10. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი;
   11. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

II. დამტკიცდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ნუსხა შესაბამისი საგანთა ჯგუფებით (დანართი 1);

III. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა (დანართი 2);

IV. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაში გამოსაქვეყნებელი ტექსტი;

V. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირებმა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსში მონაწილეობის საკითხის აკადემიური საბჭოს მიერ განხილვის მიზნით, განცხადება უნდა შეიტანონ უნივერსიტეტის კანცელარიაში მოცემული განცხადების გამოქვეყნებიდან 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით;

VI. დამტკიცდეს დარგობრივი საკონკურსო კომისიების შემადგენლობა (დანართი 3);

VII. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2019 წლის 26 აგვისტოდან და გაგრძელდეს 04 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში;

VIII. კონკურსი ჩატარდეს 2019 წლის 9–13 სექტემბერს. შესაბამისმა საკონკურსო კომისიამ კონკურსის პირველადი შედეგები გამოაქვეყნოს არაუგვიანეს 2019 წლის 13 სექტემბრისა თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge;

IX. კონკურსი ჩატარდეს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და "აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად;

X. საკონკურსო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიური საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

XI. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიაში განცხადებები/საჩივრები მიიღება 2019 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით;

XII. კონკურსის შედეგების დამტკიცება აკადემიურ საბჭოში და კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge) 2019 წლის 23 სექტემბერს, კონკურსში გამარჯვებულ პირებთან აფილირების და შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2019–2020 სასწავლო წლიდან;

XIII. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებები;

XIV. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**